ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4065121

ნომერი: AR1613892

თარიღი : 05.07.2018

გაცემის თარიღი : 11.07.2018

გაცნობის თარიღი : 25.07.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია შოთაძე პ/ნ 01025003634
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. N 20 ბ. 54

ორგანიზაცია:

- შპს თეგი კოდი: 205169244

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალიდან და ფოტომონტაჟიდან ირკვევა, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოები ხორციელდება უკვე არსებულ ბანერზე. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ მისი კანონიერების დამადასტურებელი საბუთი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული კანონმდებლობის მიხედვით უკანონოდ განთავსებული ბანერის რეკონსტრუქციაზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს. იმ შემთხვევაში თუ ბანერი განთავსებულია უნებართვოდ, ასეთ შემთხვევაში უნდა განახორციელოთ ნაწარმოები მშენებლობის დემონტაჟი, რომლის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინოთ განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები და განმარტებითი ბარათის მეშვეობით მოითხოვოთ ფასადზე სარეკლამო კონსტრუქციის და აბრების განთავსება.

აქვე გაცნობებთ:

„სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით).

აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი იქნეს განახლებული ფოტომონტაჟი მასალის მითითებით. ასევე დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დატანილ იქნეს ფოტომონტაჟზე

-საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, იჯარის ვადა გასულია 2011 წელს. საჭიროა წარმოდგენილი იქნეს განახლებული ამონაწერი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.